სსიპ. ქ. ქუთაისის 33 საჯარო სკოლის

მეშვიდე გ კლასის სადამრიგებლო პროგრამა

2022-2023 სასწ წელი

კლასის ხელმძღვანელი: ნ.კუჭუხიძე

სადამრიგებლო საათის თემები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1. **პიროვნული და მორალური განვითარება** – მე – პიროვნება, სოციუმი ჩემ გარშემო, ურთიერთობა თანატოლებთან და უფროსებთან, ტოლერანტობა, ადამიანთა უფლებები, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, ეტიკეტი;

2. **გარემოსდაცვითი კულტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესი** – პირადი ჰიგიენა, ავადმყოფობის გავრცელების წყაროები, მავნე ჩვევების საფრთხე, გარემოს და ბუნების მოფრთხილება;

3. **უსაფრთხოება და მოქალაქეობრივ** – პატრიოტული ცნობიერება – ჩემი სამშობლო, ისტორია, გამოჩენილი პიროვნებები, მნიშვნელოვანი მოვლენები, ტრადიციები, წესები და კანონები;

4. **შემეცნებითი და კულტურული განვითარება** – ხელოვნების, ლიტერატურის, ტექნოლოგიური და სა-მეცნიერო მიღწევების მნიშვნელობა.

1.	სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობა	შესრულების დრო	პასუხისმგებელი	შენიშვნა
2.	კლასის კონტიგენტის დაზუსტება, ჟურნალის და სასკოლო დოკუმენტაციის მოწესრიგება, წლიური სამუშაო გეგმის შედგენა	სექტემბერი	დამრიგებელი	
3.	კლასის ყველა მოსწავლის სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა	სექტემბერი	დამრიგებელი	
4.	სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება	სექტემბერი	დამრიგებელი	
5.	მშობელთა კრების მოწვევა.სკოლის შინაგანაწესის,ქცევის კოდექსის გაცნობა მოსწავლეებისათვის და მშობლებისთვის	სექტემბერი	დამრიგებელი	შეხვედრის ანგარიში
6	მშობელთა კრებების ორგანიზება	მთელი წლის მანძილზე	დამრიგებელი	

7	ზაფხულის შთაბეჭდილებები.	სექტემბერი	დამრიგებელი VIIგ კლასის მოსწავლეები	შეხვედრის ანგარიში
8	გატაცება თუ დამოკიდებულება	ოქტომბერი	დამრიგებელი VIIგ კლასის მოსწავლეები სპეც, მასწავლებელი	შეხვედრის ანგარიში
9	უნდა გვეშინოდეს თუ არა კრიტიკის	ოქტომბერი	დამრიგებელი VIIგ კლასის მოსწავლეები	შეხვედრის ანგარიში
10	სიმორცხვე	ნოემბერი	დამრიგებელი VIIგ კლასის მოსწავლეები	შეხვედრის ანგარიში
11	თანამშრომლობის მნიშვნელობა; გაგება, მოსმენა, მოლაპარაკება.	ნოემბერი	დამრიგებელი VIIგ კლასის მოსწავლეები	შეხვედრის ანგარიში
12	საშობაო კომპოზიციები	დეკემბერი	დამრიგებელი VIIგ კლასის მოსწავლეები	შეხვედრის ანგარიში
13.	მარტოობა	იანვარი	დამრიგებელი VIIგ კლასის მოსწავლეები	შეხვედრის ანგარიში
14	ჯგუფი თუ ინდივიდუალობა	თებერვალი	დამრიგებელი VIIგ კლასის მოსწავლეები	შეხვედრის ანგარიში
15	თამბაქოს მავნე ზეგავლენა	თებერვალი	დამრიგებელი VIIგ კლასის მოსწავლეები მანდატური, ექიმი	შეხვედრის ანგარიში
16	დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება “გაზაფხული შენით იწყება დედა “	მარტი	დამრიგებელი VIIგ კლასის მოსწავლეები	შეხვედრის ანგარიში
17	უკვე დიდი ვარ	აპრილი	დამრიგებელი მეოთხე კლასის მოსწავლეები	შეხვედრის ანგარიში
18	9 აპრილის მოგონებები	აპრილი	დამრიგებელი VIIგ კლასის მოსწავლეები	შეხვედრის ანგარიში
19	იუმორი ჩვენს ცხოვრებაში	მაისი	დამრიგებელი	შეხვედრის ანგარიში

			VIIგ კლასის მოსწავლეები	
20	სასწავლო ექსკურსია	ივნისი	დამრიგებელი VIIგ კლასის მოსწავლეები	შეხვედრის ანგარიში

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა:

მუხლი 19. დამრიგებელი 1. სკოლაში ყველა კლასს უნდა ჰყავდეს დამრიგებელი. საჯარო სკოლაში დამრიგებელი უნდა იყოს იმავე სკოლის მასწავლებელი.

2. მცირეკონტინგენტიან სკოლაში რეკომენდებულია, რომ ერთ დამრიგებელს ჰყავდეს არანაკლებ 10 მოსწავლისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სკოლაში მოსწავლეთა ჯამური რაოდენობა 10 მოსწავლეზე ნაკლებია. დაუშვებელია ერთი კლასის/კლას-კომპლექტის მოსწავლეებს ჰყავდეთ სხვადასხვა დამრიგებელი.

3. დამრიგებლის მუშაობა წარიმართება შემდეგი პრინციპებით:

ა) სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;

ბ) მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (გეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;

დ) თანამშრომლობის პრინციპი — დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

4. დამრიგებლის მოვალეობებია:

ა) გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);

ბ) დაწყებით საფეხურზე ჩაატაროს სადამრიგებლო საათი არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე (მაგ.: კითხვის უნარის განვითარება (დაწყებით საფეხურზე), გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება და სხვ.) სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით. გ) დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;

დ) იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;

ე) რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ზ) სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით;

თ) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში.

5. რეკომენდებულია, საჯარო სკოლის დამრიგებელი გაეცნოს სამინისტროს და სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ შემუშავებულ და/ან რეკომენდებულ შესაბამის მეთოდურ სახელმძღვანელოებსა და გზამკვლევებს.